ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13232964**
თარიღი:**23/10/2023**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2024 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუქნტის შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნას ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, 2024 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები დანართის შესაბაბისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.#62ა.)

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	2024 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	კატეგორია	სავარაუდო ღირებულება
1	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წინუბნის და ქალაქ ვალეს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთის გზის და ახალციხის მუნიციპალიტეტში სოფელ წყრუთში დაზიანებული საყრდენი კედლის შეცვლის სამუშაოები	გზა	780 425
2	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩი (ყოფილი ზარზმელის) გზის რეაბილიტაცია და ქალაქ ახალციხეში საფარის ქუჩაზე არსებული საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია	გზა	439 540
3	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქალაქ ახალციხეში სპორტული სკოლის ნაწილის დემონტაჟისა და მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები	შენობა	2 500 000
4	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქალაქ ახალციხეში მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N57-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაცია	შენობა	413 754
5	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის და მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია	წყალი	977 976
6	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქალაქ ახალციხეში მიქუტიშვილის ქუჩაზე საყრდენი კედლის რეაბილიტაცია და ქალაქ ახალციხეში მიქუტიშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია	გზა	1 283 812
7	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვილისის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის და ნედლი წყალის სისტემის რეაბილიტაცია	წყალი	175 570
8	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. სხვილისში სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის (ე.წ. ,,ფარეხას“) რეაბილიტაცია	წყალი	472 260
9	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდის გზის რეაბილიტაცია	გზა	293 558
10	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქალაქ ახალციხეში გამსახურდიას ქუჩის გზის რეაბილიტაცია	გზა	812 000,00

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	2024 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	კატეგორია	სავარაუდო ღირებულება
11	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქ. ახალციხეში ასპინძის ქუჩაზე N28-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები	შენობები	291 051
12	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქ. ახალციხეში ასპინძის ქუჩაზე N34-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები	შენობები	321 144

საკრებულოს თავმჯდომარე- დავით ლომიძე